ლაღი

9–13 აგვისტო 1994 წ.
№25 (10893) ● ფასი 70 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სხვა შედეგს არც ველოდით

ჩვენი მკლავჭიდელები მაღალი მიღწევებით იმთავითვე ანებივრებენ გულშემატკივრებს და „ტალანტებს“ არც ამჯერად აუბნეულებიათ თაყვანისმცემლები. ჩვენმა სპორტსმენებმა ტრიუმფით განვლეს ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში გამართული ევროპის ჩემპიონატი და თვალსაჩინო ნაადალით დაგვიბრუნდნენ. მათ ანგარიშზე ოქროს, 3 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველობა მოიტა

მომდევნო ადგილებზე არიან მასპინძლები და რუსეთის ნაკრები.

ქართველ სპორტსმენთა წარმატებას სტატისტიკი მისცა ყველაზე მსუბუქი წონის (60 კგ) თოლუტმა გია ხაჩიძემ, რომელმაც ორჯერ ოქროზედ სძლია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს კორიდო ლასოს. მას მხარი აუბეს 18 წლის ვეფხია სამხარაძემ (70), კონტინენტის ჩემპიონის მეოთხე ოქროს მედალი დაისაკუთრა ლერი საღლიანმა, ხოლო ჯიმი მერაბიშვილი მეხუთედ დაეუფლა უძლიერესის სახელს, ასპარეზობაზე შეუდარებელი იყო დავით ჭელიძე, რომელმაც ძნელ ბრძოლაში ორჯერ დააყრევინა ფარ-ხმალი მასპინძელთა პოპულარულ ათლეტს ელი სეფიაშვილს. კვლავ ვერავინ გაუნია სერიოზული წინააღმდეგობა ჩვენს მძიმეწონოსან ზაურ ცხადაძეს, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში სძლია მსოფლიო ექს-ჩემპიონს ძალოსნობაში და რუსეთის ჩემპიონს მკლავჭიდში ა. ინალდიევს.

საქართველოს მკლავჭიდელებს ამ ასპარეზობაზე მხარში ედგა გუნდის სპონსორი ავთანდილ საყვარელიძე (ფირმა „ჯორჯიან ტრანსოილ“).

შეიქმნა აღორძინების ფონდი

ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების საერთაშორისო ფონდი — ასეთია ფონდს, რომელიც ამ დღეებში შეიქმნა, ხოლო რაც შეეხება ჩვენში თვით საბრძოლო ხელოვნებას, მას ოთხი ათასი წლის ისტორია აქვს. ამას მოწმობს, თუნდაც ის ფაქტი, რომ შუმერული ჭიდაობის ფილეთების სახელები ემთხვევა ქართულისას...

ფონდის შექმნა, რა თქმა უნდა, მარტო ამ ფაქტზე დაყრდნობით არ განპირობებულა. საქმე ის არის, რომ აი უკვე 5 წელია, რაც არსებობს ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია (პრეზიდენტი ლევან კიკალეიშვილი), რომელმაც ექსპედიციებისა და კვლევის შედეგად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აღმოაჩინა და შეისწავლა ორთაბრძოლების მივიწყებული სახეობები, მათ შორის სვანური ჭიდაობები: ლიბურძგალი (გუნდური) და ლიბურგალი (პირადი); ხევსურული მოშ და მოშ (მკ[illegible]ადამკლავ) და შუქა სრისა, ხრინწკა; რაჭული ღოჯური — ქამრიდან გადავლება; ქართლური — მაჯურა, ცალხელა, მუცლითა და თვალდახუჭული ჭიდაობა; მეგრული — რკინება და ა.შ.

ფონდის დამფუძნებელ კონფერენციაზე თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მ. მნათობიშვილი, შეიქმნა, აგრეთვე, ფონდის სარევიზიო კომისია და მზრუნველთა საბჭო.

ფონდი მიზნად ისახავს ქართული საბრძოლო ხელოვნების ფართო დანერგვასა და მის საერთაშორისო სარბიელზე გატანას.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

სპორტის სფეროში გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ

რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა ვითარებამ კრიტიკულ ზღვრამდე დასცა ეროვნული სპორტული პოტენციალის გამოვლენისა და წარმოჩენის შესაძლებლობანი. ფაქტობრივად მოიშალა საერთაშორისო დონის მომზადებისა და მასობრივი სპორტის ორგანიზებული სისტემა; შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო ცნობილ სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიგრაციამ.

სპორტის შემდგომი განვითარებისა და ერის გაჯანსაღების სისტემის ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის უქონლობაც.

სპორტის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მიღებამდე ბოლო ხანს დარგში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის, მისი მართვის გაუმჯობესების, სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის უკეთ კოორდინაციისა და შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების შექმნის მიზნით:

1. სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერა ჩაითვალოს სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად.

2. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ორგანოებს ევალებათ საზოგადოებრივ გაერთიანებათა უფლებების დაცვა, მათი საწესდებო ამოცანების შესრულების პირობების უზრუნველყოფა სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად სპორტული ფედერაციების, საზოგადოებების, ასოციაციების, კლუბებისა და სხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი გაერთიანებების საქმიანობის კოორდინაცია და საერთო ხელმძღვანელობა განეკუთვნოს საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის კომპეტენციას.

3. საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტმა:

შეიმუშაოს დარგის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ძირითადი მიმართულებების განსაზღვრით, სათანადო პროგრამები და ნორმატიული აქტები, უზრუნველყოს მათი დანერგვა; დააფინანსოს სპორტული ორგანიზაციების საქმიანობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი სახსრებით ხელშეკრულებების საფუძველზე, დააწესოს მათი მიზნობრივი ხარჯვის კონტროლი;

სპორტული ფედერაციებისა და სხვა სპორტული გაერთიანებების საწესდებო მიზნების შესასრულებლად ხელი შეუწყოს მათთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების სრულად განხორციელებას, რისთვისაც პერიოდულად განაზოგადოს სპორტული გაერთიანებების მუშაობის პრაქტიკა. შეიმუშაოს რეკომენდაციები მათი საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებზე;

აუცილებლობის შემთხვევაში სპორტული გაერთიანებების მარეგისტრირებელ ორგანოსთან ერთად განახორციელოს მათ მიერ საწესდებო მოთხოვნათა დაცვის კონტროლი, გაეცნოს შესაბამის დოკუმენტაციას და დასვას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების საკითხი. სპორტული რეზერვის უკეთ მომზადების მიზნით დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს სპორტული სკოლების საქმიანობის მართვისა და კოორდინაციის სისტემა; დანერგოს იგი 1995 წლიდან.

4. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზებისა და ნაგებობების პრივატიზებისა და აქციონირებისას აიკრძალოს მათი პროფილის შეცვლა და არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

5. გათავისუფლდეს საბაჟო გადასახადისაგან სპორტული ორგანიზაციების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის შეძენილი სპორტული საქონელი, მოწყობილობანი, ინვენტარი, მედიკამენტები, სპორტსმენთა მომზადებისათვის საჭირო საქონელი საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს წინადადებანი და წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს სპორტული ინვენტარისა და ტანსაცმლის მწარმოებელი ორგანიზაციების დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან, აგრეთვე სპორტსმენებზე, მწვრთნელებსა და სპორტის მუშაკებზე გაცემული პრემიების დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ.

7. რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა განიხილონ და გადაწყვიტონ სპორტული ორგანიზაციების, დაწესებულებების, ბაზებისა და ნაგებობების კომუნალური გადასახადებისაგან გათავისუფლების საკითხები.

8. სპორტსმენთა, მწვრთნელთა და სპორტის სპეციალისტთა სხვა ქვეყნების სპორტულ კლუბებში გადასვლისა და უცხოელთა საქართველოში მოწვევის საკითხების გადაწყვეტა განხორციელდეს სპორტის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად საკონტრაქტო სისტემის დანერგვის საფუძველზე.

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესში გაითვალისწინოს სპორტული ინვენტარისა და ფორმის საწარმოო ბაზის გაფართოება სპორტის დეპარტამენტის წინადადებების გათვალისწინებით.

საწარმოებმა სპორტული ნაწარმის თავისუფალი რეალიზაცია მოახდინონ სპორტის დეპარტამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

10. მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განლაგებულია სპორტული ობიექტები, მათ შორის მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, შეტანილ იქნენ მიწის სარეკრეაციო ფონდში და არ დაექვემდებარონ სხვა დანიშნულებით გამოყენებას.

11. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყონ სპორტის დეპარტამენტისათვის გათვალისწინებული საკუპონო და სავალუტო ასიგნებების შეუფერხებელი გამოყოფა და ნაღდი ფულის გაცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხარჯვის მიზნობრიობის მკაცრი დაცვით.

12. ყველა სახის სპორტული ლატარიის გათამაშებებზე ნებართვების გაცემა განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტთან შეთანხმებით. გათამაშებიდან მიღებული წმინდა მოგების 20 პროცენტი ჩაირიცხოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდში.

13. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დებულება, აგრეთვე სპორტის იმ სახეობათა ნუსხა, რომელთა დანერგვაც საჭიროებს სპორტის დეპარტამენტის სათანადო ნებართვას.

ე. შევარდნაძე.

1994 წლის 28 ივლისი
თბილისი.

ინფორმაცია

შვეიცარიულმა ფირმა „ტელესპორტმა“, რომელთანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მჭიდრო ურთიერთობა აქვს, საქართველოს ტელედეპარტამენტს ევროპისთვის საკმაოდ მიზერული თანხის გადახდით (7,500 ამერიკული დოლარი პლიუს ტელეკომუნიკაციო ხარჯები) შესთავაზა რუსეთის ქალაქ კრაიოვადან 23 აგვისტოს უეფას განმეორებითი საკვალიფიკაციო მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაციის მოწყობა.

გამოჩნდება კი ჩვენში ვინმე ფირმა ან კერძო პიროვნება, რომელიც ამ თანხას გაიღებს?

„დინამო“ — „უნივერსიტატიას“ 9 აგვისტოს მატჩზე მოსულ სპორტულ ჟურნალისტებს სასიამოვნო საჩუქარს უმზადებს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექცია: მთლიანად გადაკეთდა პრესის მუშაკთა ლოჟა, გადაიხურა და კეთილმოეწყო ახალი სკამებით.

3 აგვისტოს შინ დაბრუნდა თბილისის „დინამოს“ გუნდი, რომელიც ოთხი დღით გერმანიაში იმყოფებოდა ამხანაგური მატჩების ჩასამართავად. დინამოელებმა ფრედ (2-2) ითამაშეს „საარბრიუკენთან“, „ბოხუმთან“ კი ააგეს — 1-2.

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციამ გამოაქვეყნა 1993-94 წლების ეროვნის ათი საუკეთესო მსაჯის სია (ანბანის მიხედვით):

1. ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი)
2. ვლადიმერ ეჯიბია (თბილისი)
3. თამაზ ლაცაბიძე (სურამი)
4. თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)
5. მერაბ მალაღურაძე (თბილისი)
6. თემურ მაჭარაძე (ხონი)
7. მურთაზ მირცხულავა (ლანჩხუთი)
8. გრიგოლ მიქაუტაძე (ქუთაისი)
9. ელგუჯა სილაგავა (თბილისი)
10. ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)

კეთილი ნების თამაშები — 94

ქართველები სანკტ-პეტერბურგში

კეთილი ნების პირველ ორ თამაშებში საქართველოს სპორტსმენებს გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული: 1986 წელს მოსკოვში ჩვენებმა 9 სხვადასხვა ღირსების მედალი დაიმსახურეს, ოთხი წლის შემდეგ სიეტლში კი — 5. კეთილი ნების პირველი თამაშების ლაურეატები არიან: ხუთაჯიდელი ვახტანგ იაგორაშვილი (ოქრო — პირადში, ოქრო — გუნდურში), მოჭიდავე დავით გობეჯიშვილი (ვერცხლი — პირადში, ოქრო — გუნდურში), ველოსიპედისტი ოთარ მჭედლიშვილი (ვერცხლი), მძლეოსანი მაია აზარაშვილი (ვერცხლი) და მოკრივე იური სავოჩკინი (ბრინჯაო). 1990 წელს სიეტლში ჩემპიონები გახდნენ: დავით გობეჯიშვილი (გუნდურში მეორე იყო) და ძიუდოისტი ამირან ტოტიკაშვილი. ვერცხლი ერგო ვახტანგ იაგორაშვილს, ძიუდოისტ ვლადიმერ დგებუაძეს კი ბრინჯაო (აღნიშნულ სპორტსმენთა გარდა სიეტლში ასპარეზობდნენ სინქრონისტი ხრისტინა ფალასანიდი, წყალში მხტომელი გიორგი ჩოგოვაძე, მძლეოსანი ოლეგ სტრიჟაკოვი და ორი კეტბურთელი — ხვიჩა ყაველაშვილი და ნუგზარ ფოფხაძე).

წლევანდელ თამაშებში, რომელიც სანკტ-პეტერბურგში გაიმართა, საქართველო გასაგები მიზეზების გამო ერთობ „ხალვათად“ იყო წარმოდგენილი და შედეგებიც, ამის გამო, მოკრძალებულია. ეკონომიკური ხელმოკლეობის ჯადოსნური წრე, ასე თუ ისე, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა გაარღვიეს და ეს სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ქართული ჰიმნის ხმები ერთხელ მაინც გაისმა ნევის ნაპირებზე.

ზაზა თურმანიძე

ახლა უფრო დაწვრილებით იმის შესახებ, თუ რა მოხდა სანკტ-პეტერბურგში. სამი კაცით საქართველოს „ნაკრები“, ცხადია, ვერც ვარსკვლავებს მოწყვეტდა და ვერც ვერავის გააკვირვებდა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობას რაღაც წარმატება მაინც ჰქონდა დაგეგმილი, თორემ ისე, ამხელა გზაზე წასვლას ვერავინ გაბედავდა.

მთავარი სირთულე მონაწილეებს, უფრო მეტად კი იმათ, ვინც მედლებისათვის იბრძოდნენ, დებულებამ შეუქმნა, რომლის თანახმადაც ასპარეზობის უფლება ეძლეოდათ შარშანდელ სეზონში განსაკუთრებით გაძორრეულ მოჭიდავეებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყველა წონაში, საპრიზო ადგილების პრეტენზიას მხოლოდ ფავორიტები აცხადებდნენ.

აი ერთი მაგალითი. მძიმე წონაში ზაზა თურმანიძეს მოუხდა სამი უმძიმესი ბრძოლის გამართვა ირანელ არდი ნადანისთან, უკრაინელ იური სობოტკოსთან და რუს ანდრეი შუმილინთან. ისინი თავადაც ფავორიტებად თვლიდნენ თავს და უმაღლესი ტიტულისათვის იბრძოდნენ. შუმილინმა შარშან რომ მსოფლიოს თასი მოიგო, სანკტ-პეტერბურგში მსოფლიოს სამგზისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს ამერიკელ ბრიუს ბაუმჰარტნერს აჯობა. ამის შემდეგ იგი, ალბათ, სანახევროდ თავს ჩემპიონად თვლიდა, მაგრამ ზაზა თურმანიძემ მის ამ ოცნებას ცივი წყალი გადაასხა. უაღრესად სწორად წარმართულ ტაქტიკურ ბრძოლაში ქართველმა მოჭიდავემ მეტოქეს აართვა ის ერთადერთი ქულა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. ერთი დღის შემდეგ, 1 აგვისტოს ზაზას 29 წელი შეუსრულდა, ასე რომ, ვეტერანმა მოჭიდავემ საჩუქარი საკუთარ თავს თვითონ მიართვა. საპრიზო ადგილები 130 კგ. წონით კატეგორიაში საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. ზ. თურმანიძე (საქართველო), 2. ა. შუმილინი (რუსეთი), 3. ბ. ბაუმჰარტნერი (აშშ).

ჩვენი „მინი-გუნდის“ ორ დანარჩენ წევრს (ელდარ კურტანიძე და დავით ხურცია) მესამე საპრიზო ადგილამდე მხოლოდ თითო საფეხური დააკლდა. შარშან კურტანიძემ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს ჯილდო მიიღო, ევროპაზე კი ვერცხლი. პეტერბურგში მას ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ და ეს ასეც იყო, მაგრამ იაპონელ იტო აუშისთან გამარჯვების შემდეგ ურთიერთობის გარკვევა მოუხდა მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონთან მახარბეკ ხადარცევთან, რომელიც ქართველ მოჭიდავეზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ელდარმა ამის შემდეგ მოუგო ერთი ბრძოლა ბელარუს ვასილ მატიუშენკოს, მაგრამ ისევ დამარცხდა სოსლან ფრაევთან (რუსეთი) და ხელიდან გაუშვა ბრინჯაოს ჯილდო.

ასევე IV ადგილი ერგო უდავოდ ნიჭიერ მოჭიდავეს დავით ხურციას, რომელიც ამჯერად 82 კგ წონითს კატეგორიაში ასპარეზობდა.

რამდენიმე სიტყვა ჩვენს „თერგდალეულ“ მოკრივეებზე, რომლებიც ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან და რუსეთის ღირსებას იცავენ. სხვათა შორის, ორთავემ საუცხოოდ წარმოადგინა თავი და ორთავემ ოქროს მედალი დაიმსახურა, რაც მათი მაღალი ოსტატობის უდავო დასტურია. პაატა გვასალიამ (60 კგ) ფინალში დაამარცხა საკმაოდ ძლიერი გერმანელი ჰაიკო ჰინცი, რამაზ ფალიანმა კი (57 კგ) ასევე ფინალში აჯობა ძლიერ კუბელს ჯოელ ჯონსონს.

დიდი ნარმატება

სოფიაში დამთავრდა სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. ისევე, როგორც შარშან, ახლაც პირველი ადგილისთვის ბრძოლა ძირითადად რუსეთისა და საქართველოს გუნდებს შორის მიმდინარეობდა. გაგახსენებთ, რომ შარშან პირველი ადგილი რუსეთის გუნდს დარჩა, მეორე — საქართველოს სტუდენტებს, ამასთან პირად ჩათვლაში გაიმარჯვა დიდოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ, რომელსაც სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მიენიჭა.

წლეულს ლ. ჯანჯღავა უკვე აღარ თამაშობდა — მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს გუნდში გამოდიოდნენ საერთაშორისო ოსტატი თამაზ ტაბატაძე, ოსტატები ალექსანდრე დგებუაძე, რომან სიჭინავა და მსოფლიო ჩემპიონი გოგონათა შორის დიდოსტატი ნინო ხურციძე.

ამჯერად საქართველოს გუნდმა გაუსწრო რუსეთის გუნდს, 17,5 ქულა მოაგროვა და სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონობაც მოიპოვა. 17 ქულით მეორე ადგილზე გავიდა რუსეთის ნაკრები, მომდევნოებზე გერმანელები და ჩინელები.

„თურქული ბრინჯაო“

ოთხი ქართველი ფალავანი ასპარეზობდა თურქეთში 20 წლამდე ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და მათგან ორმა — მარტყოფელმა გიორგი ფრეწუაშვილმა (62 კგ. მწვრთნელი გოდერძი ჯოხაძე) და სართიჭალელმა ხვიჩა ბიჩინაშვილმა (74 კგ. მწვრთნელი ჯონი რეხვიაშვილი) ბრინჯაო ჩამოიტანეს შინ.

მალე ანალოგიურ შეჯიბრებაში გამოვლენ თავისუფალი სტილის მოჭიდაველებიც, რომლებსაც ფინეთი უმასპინძლებს.

ორი გამარჯვება

პარდუბიცე (ჩეხეთი). მოჭადრაკეთა შერეულ საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა სოფიკო ნიკოლაძემ 4,5 ქულა დააგროვა და ყველას აჯობა ქალთა შორის. იქვე, ვაჟთა ასპარეზობაში მისმა თანაქალაქელმა სერგეი მოვსესიანმა საერთაშორისო ოსტატის მეორე ბალი შეასრულა (6,5 ქულა).

ოგბერვატი (ავსტრია). აქ მიმდინარე ანალოგიურ ტურნირში ნატო ეძგვერაძემ (თბილისი) 5,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ქალთა შორის.

უკრაინის ჩემპიონი... გალიდან

უკრაინის ჩემპიონი ჭადრაკში 10 წლამდე ყმაწვილებს შორის გახდა გალელი ლტოლვილი ბაკურ ჯობავა. იგი ახლა ხარკოვში ცხოვრობს და საერთაშორისო ოსტატ ვაისმანთან ვარჯიშობს.

როგორც ამ დღეებში მწვრთნელმა ვაისმანმა განაცხადა, იგი ინტენსიურად ამზადებდა ნიჭიერ ჭაბუკს. ბაკურ ჯობავა 31 ივლისიდან უნგრეთში მსოფლიო ჩემპიონატში ჩაება 10 წლამდე ნორჩებს შორის.

პრეტენდენტთა მატჩებზე

ინდოეთში გრძელდება მატჩები ფიდეს ვერსიით.

ყველაზე დიდ ინტერესს თავიდანვე გატა კამსკისა (აშშ) და ვიშვანათანს ანანდის (ინდოეთი) შეხვედრა იწვევდა. მათი პირველი და მეორე პარტიები ყაიმით დასრულდა, მესამე და მეოთხე შეხვედრებში გაიმარჯვა ინდოელმა მოჭადრაკემ და კამსკი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა — მატჩი ხომ სულ 8 პარტიისაგან შედგება. მეხუთე პარტია კამსკიმ მოიგო, მეექვსე ყაიმით დასრულდა და... 3,5:2,5.

ბორის გელფანდისა (ბელარუსი) და ვლადიმერ კრამნიკის (რუსეთი) მატჩი ასევე ორი ყაიმით დაიწყო, მესამე პარტია მოიგო კრამნიკმა, მეოთხეში კი გაიმარჯვა გელფანდმა. ანგარიში გათანაბრდა. მომდევნო ორი პარტია ყაიმით დასრულდა — 3:3.

მესამე მატჩი იან ტიმანსა (პოლანდია) და ვალერი სალოვს (რუსეთი) შორის შედარებით გვიან დაიწყო. ერთხანს ტიმანი წინ იყო, მაგრამ მეექვსე პარტიის მოგებით სალოვმა გაათანაბრა ანგარიში — 3:3.

6 ქულით ასცდნენ მიზანს

ევროპის XIV პირად-გუნდური ჩემპიონატიდან (მას ჩეხეთის ქალაქი ნიმბურკი მასპინძლობდა) დაბრუნდა საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრები.

ჩვენი „ამორძალები“, რომლებიც ასეთი მასშტაბის ასპარეზობაში პირველად მონაწილეობდნენ დამოუკიდებლად, ურიგოდ არ გამოსულან და დაძაბულ ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწიეს. რთულ „ოლიმპიურ წრეში“ (ასე ეწოდება ვარჯიშს), რომელიც პირველად შეიტანეს ბარსელონის XXV ოლიმპიადის პროგრამაში, კარგად განვლეს ორივე ეტაპი და 23 გუნდს შორის მეოთხე ადგილი დაიკავეს.

მ-1-ის პირველ ეტაპზე (70, 60 , 50, 30 მ) სასტარტო წრეში სპორტსმენი უნდა მოხვდეს 32 საუკეთესოს შორის და გააგრძელოს ასპარეზობა მეორე წრეში, რომელიც იმართება ოლიმპიური სისტემით — დამარცხებული ეთიშება ასპარეზობას. აქ ოდნავი წაბორძიკებაც, ერთი არაზუსტი გასროლაც კი საბედისწეროა.

ჩვენს ნაკრებში შედიოდნენ ბარსელონის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში, ევროპის სამგზის ჩემპიონი ხათუნა ქვრივიშვილი, ხათუნა ნარიმანიძე (ორივე — თბილისი) და ბათუმელი ასმათ დიასამიძე. ამ ტრიომ მერვედფინალში სძლია იტალიის ნაკრებს — 224:222, შემდეგ დაამარცხა (222:217) უკრაინის გუნდი და III-IV ადგილებისათვის ბრძოლა დათმო თურქმეტოქეებთან (239:233). ამრიგად, მესამე საპრიზო ადგილზე თურქი მშვილდოსნები გავიდნენ, ხოლო ჩვენი ქალები — მეოთხეზე. ეს, რა თქმა უნდა, წარმატებაა.

ქალთა პირად პირველობაში ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 51 მშვილდოსანი. მეორე წრეში გავიდნენ თბილისელი ხ. ქვრივიშვილი და ბათუმელი ა. დიასამიძე. ამ უკანასკნელმა ამ ეტაპზე დაჯაბნა პოლონელი მარტა პრუსი (162:160), უკრაინელი ოლგა იაგოდკინა (162:157), მერვედფინალში კი გამოეთიშა ასპარეზობას. საბოლოოდ იგი მეათე ადგილს დასჯერდა.

აღსანიშნავია, რომ „ოლიმპიურ წრეში“ ასმათმა საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა 570 მეტრზე სროლაში — 162 ქულა 180 შესაძლებლიდან.

მედალოსანთა ვინაობა ასეთია: 1. ელენა ტუტატჩიკოვა (რუსეთი), 2. ბარბარა მენსინგი (გერმანია), 3. სევერინა ბონალი (საფრანგეთი), ნატალია ვალევა (მოლდოვა).

ერთი დეტალიც. „ოლიმპიური წრის“ მეორე ნაწილი შეიცავს სროლის ორ რეჟიმს — მერვედფინალამდე მოასპარეზენი 70 მეტრზე ტყორცნიან 18-18 ისარს, ხოლო მეოთხედფინალიდან დასასრულამდე 12-12-ს. სწორედ ამიტომაა განსხვავება ასმათ დიასამიძესა და პრიზიორთა შედეგებს შორის.

გუნდური შედეგები: 1. რუსეთი — 240 ქულა, 2. გერმანია — 240, თურქეთი — 239, საქართველო — 233.

რუბენ კაცოგაშვილი,
ეროვნული კატეგორიის მსაჯი.

„რეიტინგ-ლისტი“: აინონა-დაჭერილნა

1 ივლისიდან მოქმედებს მოჭადრაკეთა ... „რეიტინგ-ლისტი“ (ქალთა ... ნუსხა), რომელიც 1995 წლის 1 იანვრამდეა ძალაში.

როგორ გამოიყურებიან სადღეისოდ ამ სიაში საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკები? ეს საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ სექტემბერში უნდა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირი ქალთა შორის, ნოდ ბერ-დეკემბერში კი მორიგი საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა სალონიკში. აქ საქართველოს ქალთა და ვაჟთა ... კრები გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს მოჭადრაკე ქალებს შორის ყველაზე უკეთესი კოეფიციენტი აქვს მაია ... ბურდანიძეს — 2505 (იანვარში ჰქონდა 2520). წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ... იამ არც ისე ცოტა ითამაშა — 26 პარტია. აქ ისიც უნდა დავძინოთ, რომ ფიდეს „რეიტინგ-ლისტის“ შემდგენლები არ აღრიცხავენ არც შეჯიბრებებს სწრაფ ჭადრაკში, არც „ქალბატონებისა“ და „სენიორების“ უკვე ტრადიციად ქცეულ მატჩ-ტურნირს.

მეორე ადგილს ინარჩუნებს ქეთევან არახამია — 2450 (იანვარში ჰქონდა 2485). ქეთევანი ტრადიციულად ბევრს თამაშობს, ერთი ტურნირი რომ დამთავრდება, ხშირად ... რეში ერთვება, ასე, იანვრიდან მოყოლებული, მან 38 პარტია ითამაშა (14 პარტია მონაწ... კარლოში „სენიორების“ წინაალმდეგ არ ეთვლება).

ისევე, როგორც იანვრისათვის, ჩვენს მოჭადრაკე ქალებს შორის ახლაც მესამეა ნანა ... სელიანი — 2435 (ამდენივე ჰქონდა იანვარშიც), რომელსაც არც ერთი პარტია არ უთამაშია. ვიმეორებთ, ასე მიაჩნია ფიდეს, თორემ ნანა იოსელიანმა მონაწილეობა მიიღ... ... ვე „ქალბატონებისა“ და „სენიორების“ ასპარეზობაში.

ახლა მ. ჩიბურდანიძეს, ქ. არახამიას და ნ. იოსელიანს მონაწილეობა მოელით მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ორწლიან მატჩ-ტურნირში, რომელიც ქ. ტილბურგში (ჰოლანდია) უნდა გაიმართოს და მათი რეიტინგიც, ალბათ, საგრძნობლად შეიცვლება.

მეოთხეა ნინო გურიელი — 2395 (იანვრისათვის 2390, ითამაშა 4 პარტია). ქეთევან ... ხიანის გვარი, რომელიც აქამდე მეოთხე იყო ქართველ მოჭადრაკე ქალთა შორის, ახლა ... ამოღებულია ჩვენი „რეიტინგ-ლისტიდან“. ქ. კახიანი ამიერიდან პირველ ადგილზეა გ... მანაის მოჭადრაკე ქალთა სიაში.

ჩვენმა სახელოვანმა ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიო პირველობაზე ბრძოლას თავი დაანება, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაზე უარი არ უთქვამს. ... მისი კოეფიციენტია — 2390 (ითამაშა 13 პარტია, იანვარში მისი კოეფიციენტი იყო 236... ერთი სიტყვით, ნ. გაფრინდაშვილის მონაცემები გაუმჯობესდა).

მეექვსეა ნანა ალექსანდრია, რომელმაც ასევე დაანება თავი მსოფლიო პირველობ... თვის ბრძოლას, მაგრამ არა საერთაშორისო ტურნირებს. მას ამჟამად 2325 ქულა ... (ჰქონდა 2305, ითამაშა 9 პარტია).

კიდევ ერთ დიდოსტატს — ნინო ხურციძეს ამჟამად აქვს 2320 ქულა (ჰქონდა 2295. ... მაშა 13 პარტია).

ახლა ზოგიერთი რამ ჩვენს წამყვან დიდოსტატ ვაჟზე. ზურაბ აზმაიფარაშვილი კვლ... ... ველ ადგილზეა — 2625 (იანვარშიც 2625 ჰქონდა, ითამაშა სულ 8 პარტია, რაც მოქმ... და თანაც ქვეყნის წამყვანი მოჭადრაკისათვის ერთობ ცოტაა). ვიმეორებთ, ჩათვლაში ... შედის „სწრაფი ჭადრაკის“ შეჯიბრებები, რომლებშიც ზ. აზმაიფარაშვილი ხშირად მ... ნაწილეობს.

მეტს, და წარმატებით, თამაშობდა ამჟამად მეორე ადგილზე მყოფი გია გიორგაძე, რ... მელსაც ახლა 2565 ქულა აქვს (ჰქონდა 2555, წლის პირველ ნახევარში 19 პარტია ითამ... შა.

კვლავინდებურად ინარჩუნებს მესამე პოზიციას ზურაბ სტურუა — 2535 (იანვარში ... ნდა 2550, ითამაშა 13 პარტია). გავიხსენოთ, რომ ზ. აზმაიფარაშვილი, გ. გიორგაძე ... სტურუა ნოემბერში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოვლენ სალონიკის ... ერთაშორისო ოლიმპიადაზე.

2530 ქულა აქვთ თამაზ გიორგაძეს და გენადი ხაიჩიკს, ზუსტად იმდენი, რამდენ... ვარში. წლის პირველ ნახევარში მათ რაიმე სარეიტინგო ტურნირში არ უთამაშია... რთალია, გ. ხაიჩიკი მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატში, მაგრამ მის მონაცემ... ფიდე მოგვიანებით გაითვალისწინებს.

ელიზბარ უბილავა, რომელიც ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს, ხშირად მონაწილეობ... შეჯიბრებებში. ასე, მაგალითად, წლის პირველ ნახევარში მან 30 პარტია ითამაშა, მაგრ... ნაკლები წარმატებით. ახლა მისი კოეფიციენტია 2525 (იანვრისათვის იყო 2535).

ლაშა ჯანჯღავის დროის ამ მონაკვეთში არსად უთამაშია, ამიტომაც იგივე კოეფიც... ენტი დარჩა, რაც ჰქონდა — 2500. ამდენივე აქვს საერთაშორისო ოსტატ გია ბაღათურიას. შარშანდელი სახონთშორისო ტურნირის მონაწილეს. არც მას უთამაშია სადმე იანვრ... მერე და იმდენივე ქულა დარჩა, რამდენიც ჰქონდა. იგორ ეფიმოვი, რომელიც 1993 წლ... მეორე ნახევარშიც ბევრს თამაშობდა (66 პარტია!), ახლაც არაერთ ტურნირში მონაწ... ლეობდა — 49 პარტია აქვს სათამაშოები. ი. ეფიმოვის კოეფიციენტი იანვარში იყო 246... ახლა იგი რამდენადმე უკეთესია — 2470.

ედუარდ გუფელდი კარგა ხანია საქართველოში აღარ ცხოვრობს, მაგრამ ფიდეს „ინ... რაციით“ იგი კვლავ ჩვენი დიდოსტატების რიგებში შეჰყავს. მან იანვრიდან დაწყებული 2... პარტია ითამაშა, ადრე მისი კოეფიციენტი 2475 იყო, ახლა კი გაუარესდა — 2440.

გივი თოდრელი

ვინც ფულის ყადრი იცის

მოგვწონს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ტელევიზია ყველაზე გავლენიანი ძალაა არა მარტო პოლიტიკაში და საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, არამედ, სპორტშიც (მხედველობაში, რა თქმა უნდა, დასავლეთის სამყაროს ტელევიზია გვაქვს, რომლის კრიტიკაშიც ამოგვდიოდა სული ერთ დროს). ამერიკული გაზეთი „სპორტინგ ნიუსი“ პერიოდულად აქვეყნებს სპორტის დარგში 100 ყველაზე გავლენიანი პიროვნების სიას. დროთა განმავლობაში ეს სია, ბუნებრივია, იცვლება. ვიღაც კარგავს კაპიტალს, ავტორიტეტს, პოზიციას, ვიღაც ძალას იკრებს, ფეხზე დგება და ტირაჟიდან გასული ხალხის ადგილს იკავებს. მაგრამ ამა ქვეყნის ძლიერთა ძირითადი მასა მაინც უცვლელია. ეს ის ხალხია და ორგანიზაციები, რომლებიც სტიმულს აძლევენ სპორტის განვითარებას მთელს მსოფლიოში.

ტელეკომპანია სი-ბი-ესი და მისი მეპატრონე, 70 წლის ლორენს ტიში ამ სიაში პირველია და ამას საკმაოდ კონკრეტული ახსნა აქვს. ორი წლის განმავლობაში ტელეკომპანიამ 3,6 მილიარდი დოლარი გადაიხადა, რათა ეყიდა ამერიკაში განსაკუთრებით პოპულარული სპორტული სანახაობების გადაცემის უფლება (კეტბურთისა და ფეხბურთის ეროვნული ლიგის მატჩები, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების საკალათბურთო გუნდების ჩემპიონატები, ბარსელონისა და ლილეჰამერის ოლიმპიური თამაშები).

მეორე ადგილიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ტელევიზიას ეკუთვნის. ეს გახლავთ კამპანია ენ-ბი-სი და მისი პრეზიდენტი დიკ ებერსოლი, რომელიც თავის სი-ბი-ესელ კოლეგაზე 24 წლით ახალგაზრდაა. ეს მაღალი ადგილი და აღიარება კომერციულ სფეროში მას მოუტანა ნბა-ს კალათბურთელთა ჩემპიონატის ტელეტრანსლაციის უფლების ყიდვამ 600 მილიონ დოლარად.

III-V ადგილები ამ სიაში უკავიათ ყველაზე პოპულარული კომერციული ლიგების კომისრებს (ჩვენებურად — პრეზიდენტებს). ესენია: 52 წლის პოლ ტაგლიაბიუ (ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგა), 55 წლის ფეი ვინსენტი (კეტბურთის მთავარი ლიგა) და 51 წლის დევიდ სტერნი (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია, ნბა). ამასთან სტერნს კომისრებს შორის ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს. ნბა-ს კლუბების ხელმძღვანელებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაიჭირავეს სტერნი ხუთი წლით და კონტრაქტში მას 27,5 მილიონ დოლარს უხდიან. შეგახსენებთ, რომ ტაგლიაბიუს წლიური ხელფასი 900 ათასი დოლარია. ვინსენტის — 500 ათასი, ნჰლ-ს პრეზიდენტის ჯონ ზიგლერისა კი — 425 ათასი.

რა შეიძლება ითქვას საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის შეფებზე? ალბათ, ყველაფერი კარგი, ყოველ შემთხვევაში, ისინი აქტიურად არიან ჩაბმული ამ რეიტინგულ დავაში და საკმაოდ სოლიდურ ყურადღებასაც იმსახურებენ. სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, მაგალითად, სიაში მერვეა, მეშვიდე ადგილს კი იგი უთმობს ეიბი-სის ტელეკომპანიის 55 წლის პრეზიდენტს დენის სვონსონს.

IX ადგილზეა 62 წლის კრივის საკმაოდ ცნობილი მენეჯერი დონ კინგი, მძიმე წონის ჩემპიონთა საქვეყნოდ ცნობილი ლაბორატორიის მეთაური. თავისი მოღვაწეობა კრივში კინგმა დაიწყო 1972 წელს. მაშინ იგი მოჰამედ ალის ინტერესებს იცავდა. მოგვიანებით მის ხელში გაიარა არა ერთმა და ორმა მსოფლიოს ჩემპიონმა — ჯო ფრეზერმა, ჯორჯ ფორმენმა, ერნი შეივერსმა, ლარი ჰოლმსმა, მაიკ ტაისონმა და ა.შ.

პირველ ათეულშია, აგრეთვე, საშუამავლო კომპანიის „პრო სერვის“ მფლობელი დონალდ დელი. ადრე იგი ჩოგბურთს თამაშობდა და საკმაოდ კარგადაც: ყოველ შემთხვევაში, ზედიზედ სამ წელიწადს იცავდა აშშ-ს ნაკრების ღირსებას დევისის თასზე. ახლა მის ორგანიზაციას კლიენტებად ჰყავს ფაქტობრივად ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი. დელის მუშტრებია, აგრეთვე, მაიკლ ჯორდანი (ადრე კალათბურთელი, ახლა კეტბურთელი), გრეგ ლემონდი (ველოსპორტი) და რამდენიმე მოცეგურე — „ვარსკვლავი“.

სპორტის ცნობილ მოღვაწეთაგან რეიტინგულ სიაში მოხვედრილნი არიან: ტედ ტერნერი (ტელეკომპანია ტი-ბი-ესი) — №17, ალან იგლსონი (ნჰლ-ს მოთამაშეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი) — №21, ჯონ ზიგლერი (ნჰლ-ს პრეზიდენტი) — №32, ჟოაო აველანჟი (ფიფა-სა და ბრაზილიის საავტობუსო კამპანიის პრეზიდენტი — №39.

№79-ე ადგილი ამ სიაში ჰქონდა ერთ... დერთ მოქმედ სპორტსმენს, ნბა-ს განუმეორებელ მოთამაშეს მაიკლ ჯორდანს, რომელსაც თავისი კლუბი „ჩიკაგო ბულზი“ წელიწადში 2,5 მილიონ დოლარს უხდიდა. აღარაფერს ვამბობთ იმ 8-10 მილიონზე, რომელსაც ჯორდანი ასევე წლის განმავლობაში იღებდა რეკლამისათვის შემდეგი ფირმებისაგან: „ნაიკი“, „შევროლე“, „კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“, „უიტისი“, „უილსონი“, „სი-ბი-ესფოკს ვიდეო“. სხვათა შორის, ფირმა „ნაიკი“ ყოველი გაყიდული წყვილი ფეხსაცმლიდან ჯორდანს 10 ცენტს უხდიდა...

როგორც ხედავთ, სპორტისა და ბიზნესის ურთიერთობას საკმაოდ რეალური სახე აქვს და, როგორც უცხოელ სპეციალისტები ამბობენ, ეს ურთიერთობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამ ორივე დარგის შემდგომ განვითარება-აღმავლობას.

1994-1995 წწ. მეექვსე ჩემპიონატის კალენდარი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი, პირველი წრე
I ტური, 14 აგვისტო, კვირა

„დინამო“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი)
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „კახეთი“ (თელავი)
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო)
„სამტრედია“ (სამტრედია) — „საპოვნელა“ (თერჯოლა)
„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ზუგდიდი)
„გურია“ (ლანჩხუთი) — „ივერია“ (ხაშური)
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „დილა“ (გორი)

15 აგვისტო, ორშაბათი
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი)
II ტური, 20 აგვისტო, შაბათი
„დურუჯი“ — „დილა“
„ივერია“ — „მარგვეთი“
„მეტალურგი“ — „გურია“
„დინამო“ (ზგ) — „შევარდენი-1906“
„საპოვნელა“ — „დინამო“ (თბ)
„სამგურალი“ — „სამტრედია“
„კახეთი“ — „ტორპედო“
„დინამო“ (თბ) — „კოლხეთი-1913“
III ტური, 27 აგვისტო, შაბათი
„კოლხეთი-1913“ — „დურუჯი“
„ტორპედო“ — „დინამო“ (თბ)
„სამტრედია“ — „კახეთი“
„დინამო“ (ბთ) — „სამგურალი“
„შევარდენი-1906“ — „საპოვნელა“
„გურია“ — „დინამო“ (ზგ)
„მარგვეთი“ — „მეტალურგი“
„დილა“ — „ივერია“
IV ტური, 10 სექტემბერი, შაბათი
„დურუჯი“ — „ივერია“
„მეტალურგი“ — „დილა“
„დინამო“ (ზგ) — „მარგვეთი“
„საპოვნელა“ — „გურია“
„სამგურალი“ — „შევარდენი-1906“
„კახეთი“ — „დინამო“ (ბთ.)
„დინამო“ (თბ) — „სამტრედია“
„კოლხეთი-1913“ — „ტორპედო“
V ტური, 18 სექტემბერი, კვირა
„ტორპედო“ — „დურუჯი“
„სამტრედია“ — „კოლხეთი-1913“
„შევარდენი-1906“ — „კახეთი“
„გურია“ — „სამგურალი“
„მარგვეთი“ — „საპოვნელა“
„დილა“ — „დინამო“ (ზგ)
„ივერია“ — „მეტალურგი“
19 სექტემბერი, ორშაბათი
„დინამო“ (ბთ) — „დინამო“ (თბ)

VI ტური, 23 სექტემბერი, პარასკევი
„დინამო“ (თბ) — „შევარდენი-1906“
24 სექტემბერი, შაბათი
„დურუჯი“ — „მეტალურგი“
„დინამო (ზგ) — „ივერია“
„საპოვნელა“ — „დილა“
„სამგურალი“ — „მარგვეთი“
„კახეთი“ — „გურია“
„კოლხეთი-1913“ — „დინამო“ (ბთ)
„ტორპედო“ — „სამტრედია“
VII ტური, 1 ოქტომბერი, შაბათი
„სამტრედია“ — „დურუჯი“
„დინამო“ (ბთ) — „ტორპედო“
„შევარდენი-1906“ — „კოლხეთი-1913“
„გურია“ — „დინამო“ (თბ)
„მარგვეთი“ — „კახეთი“
„დილა“ — „სამგურალი“
„ივერია“ — „საპოვნელა“
„მეტალურგი“ — „დინამო“ (ზგ)
VIII ტური, 15 ოქტომბერი, შაბათი
„დურუჯი“ — „დინამო“ (ზგ)
„საპოვნელა“ — „მეტალურგი“
„სამგურალი“ — „ივერია“
„კახეთი“ — „დილა“
„დინამო“ (თბ) — „მარგვეთი“
„კოლხეთი-1913“ — „გურია“
„ტორპედო“ — „შევარდენი-1906“
„სამტრედია“ — „დინამო“ (ბთ)
IX ტური, 23 ოქტომბერი, კვირა
„დინამო“ (ბთ) — „დურუჯი“
„შევარდენი-1906“ — „სამტრედია“
„გურია“ — „ტორპედო“
„მარგვეთი“ — „კოლხეთი-1913“
„დილა“ — „დინამო“ (თბ)
„ივერია“ — „კახეთი“
„მეტალურგი“ — „სამგურალი“
„დინამო“ (ზგ.) — „საპოვნელა“
X ტური, 28 ოქტომბერი, პარასკევი
„დურუჯი“ — „საპოვნელა“
„სამგურალი“ — „დინამო“ (ზგ.)
„კახეთი“ — „მეტალურგი“
„დინამო“ (თბ) — „ივერია“
„კოლხეთი-1913“ — „დილა“
„ტორპედო“ — „მარგვეთი“
„სამტრედია“ — „გურია“
„დინამო“ (ბთ) — „შევარდენი-1906“

XI ტური, 6 ნოემბერი, კვირა
„შევარდენი-1906“ — „დურუჯი“
„გურია“ — „დინამო“ (ბთ)
„მარგვეთი“ — „სამტრედია“
„დილა“ — „ტორპედო“
„ივერია“ — „კოლხეთი-1913“
„მეტალურგი“ — „დინამო“ (თბ)
„დინამო“ (ზგ) — „კახეთი“
„საპოვნელა“ — „სამგურალი“
XII ტური, 19 ნოემბერი, შაბათი
„დურუჯი“ — „სამგურალი“
„კახეთი“ — „საპოვნელა“
„დინამო“ (თბ) — „დინამო“ (ზგ)
„კოლხეთი-1913“ — „მეტალურგი“
„ტორპედო“ — „ივერია“
„სამტრედია“ — „დილა“
„დინამო“ (ბთ) — „მარგვეთი“
20 ნოემბერი, კვირა
„შევარდენი-1906“ — „გურია“
XIII ტური, 27 ნოემბერი, კვირა
„გურია“ — „დურუჯი“
„მარგვეთი“ — „შევარდენი-1906“
„დილა“ — „დინამო“ (ბთ)
„ივერია“ — „სამტრედია“
„მეტალურგი“ — „ტორპედო“
„დინამო“ (ზგ) — „კოლხეთი-1913“
„საპოვნელა“ — „დინამო“ (თბ)
„სამგურალი“ — „კახეთი“
XIV ტური, 1 დეკემბერი, ხუთშაბათი
„დურუჯი“ — „კახეთი“
„დინამო“ (თბ) — „სამგურალი“
„კოლხეთი-1913“ — „საპოვნელა“
„ტორპედო“ — „დინამო“ (ზგ)
„სამტრედია“ — „მეტალურგი“
„დინამო“ (ბთ) — „ივერია“
„გურია“ — „მარგვეთი“
2 დეკემბერი, პარასკევი
„შევარდენი-1906“ — „დილა“
XV ტური, 5 დეკემბერი, ორშაბათი
„მარგვეთი“ — „დურუჯი“
„დილა“ — „გურია“
„ივერია“ — „შევარდენი-1906“
„მეტალურგი“ — „დინამო“ (ბთ)
„დინამო“ (ზგ) — „სამტრედია“
„საპოვნელა“ — „ტორპედო“
„სამგურალი“ — „კოლხეთი-1913“
„კახეთი“ — „დინამო“ (თბ)

ოლიმპიური ჩემპიონატების პარალელები

ევროპის ბევრ სამეფო გვარს პირდაპირი კავშირი აქვს სპორტთან, კერძოდ კი ოლიმპიურ მოძრაობასთან. ბოლო დროს ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს ესპანეთის სამეფო კარი.

ბარსელონის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობას უნარიანად ხელმძღვანელობდა ბურბონების სამეფო გვარის მემკვიდრე პრინცი ფილიპი. მისი მოღვაწეობა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შესაბამისი ჯილდოთი აღნიშნა. მაგრამ ამ გვარის ურთიერთობა სპორტთან მოდის **1960** წლიდან, როცა ესპანეთის პრინცესა სოფიამ მონაწილეობა მიიღო რომის XVII ოლიმპიური თამაშების აფროსანთა რეგატაში. **1972** წელს მიუნხენის XX ოლიმპიადაზე, მაშინ ჯერ კიდევ პრინცი ხუან კარლოს ბურბონი ესპანეთის ნაკრების წევრი იყო საიალქნო სპორტში. იგივე როლს ასრულებდა, ოღონდ უკვე სეულის XXIV ოლიმპიურ თამაშებში, პრინცესა ქრისტინა...

ახლა, რაც შეეხება ოლიმპიადების სიმბოლურ რეკორდებს. ვინ შეიძლება მივიჩნიოთ თამაშების ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონად? ეს „სპატიო მისია“ ისტორიამ დააკისრა ფრანგ ბიჭუნას, რომლის გვარი, სამწუხაროდ, დიდხანს უცნობი იყო. **1900** წელს პარიზის II ოლიმპიური თამაშების აკადემიური ნიჩბოსნობის რეგატა წყვილთა თანრიგში მოიგო ჰოლანდიელმა დუეტმა რ. კლეინისა და ფ. ბრანდტის შემადგენლობით. ამ ნავს მესაჭედ ჰყავდა (ჩემპიონის მედალს ნიჩბოსნობაში მესაჭეც იღებდა) 8 წლის ფრანგი ბიჭუნა, რომლის გვარით მაშინ არავინ დაინტერესებულა. ოლიმპიური სპორტის ისტორიკოსებმა მოგვიანებით დაადგინეს, რომ მისი გვარი ჰ. ბროუმანი ყოფილა.

სამაგიეროდ, კარგად ცნობილია ინდივიდუალურ სახეობებში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობა. ეს გახლდათ ამერიკელი მარჯორი გესტრინგი, რომელმაც **1936** წელს ბერლინში მოიგო XI ოლიმპიადის ოქროს მედალი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში. გესტრინგი მაშინ სულ **13** წლისა იყო.

14 გოლი — მუქთად

ფეხბურთისათვის ფრიად უჩვეულო, უცნაური ანგარიშით აღინიშნა უკრაინის დედაქალაქში გამართული შოუ-მატჩი ე.წ. „სამყაროს ვარსკვლავთა“ და კიევის „დინამოს“ ვეტერანთა შორის. საინტერესო თამაშმა მაყურებელთა დიდი აუდიტორია — 50 ათასი მიიზიდა, მინდორზე კი გამოვიდნენ წარსული ფეხბურთის ცნობილი ვარსკვლავები ჰოლანდიელი მეკარე ჟან-მარი პფაფი, ფრანგი დიდიე სიქსი, ჰოლანდიელები იოჰან ნეესკენსი, ვილი ვან დერ კერკჰოფი, ქართველი ფეხბურთელი ალექსანდრე ჩივაძე და სხვანი. მსოფლიოს ვეტერანმა ფეხბურთელებმა თავიანთ რიგებში, რატომღაც, ჩართეს ოლეგ სალენკოც, რომელმაც ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე თავი იმით გამოიჩინა, რომ რუსეთის ნაკრების ერთ შეხვედრაში 5 ბურთი გაიტანა. კიევლთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ იგორ ბელანოვი, ალექსანდრე მიხაილიჩენკო, ლეონიდ ბურიაკი, გენადი ლიტოვჩენკო და სხვანი.

შოუ-მატჩის ინიციატორი გახლდათ ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი ოლეგ ბლოხინი, რომელმაც თავისი სახელობის საქველმოქმედო ფონდი შექმნა.

ამ მატჩში ბურთები ორივე კარში იოლად, თითქმის მუქთად გაჰქონდათ, საბოლოოდ იგი დამთავრდა ანგარიშით 8-6 კიევის დინამოელთა სასარგებლოდ.

• • •

● **ჯაბუკ** ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის (ასაკი — 18 წლამდე) II ჯგუფში რუსეთისა და გერმანიის გუნდების შეხვედრა დასრულდა რუსეთის ნაკრების გამარჯვებით — 2-1 (0-1).

● **რუსეთის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი პავლე სადირინი გათავისუფლეს თავისი პოსტიდან და მის ადგილას დანიშნეს იგორ რომანცევი. ი. რომანცევი ამავე დროს მოსკოვის „სპარტაკსაც“ უხელმძღვანელებს. მისი თანაშემწე ნაკრებში იქნება მოსკოვის არმიელთა ხელმძღვანელი ა. ტარხანოვი.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

1994-95 წლების გათამაშების ფილისყრის შედეგები

ჩემპიონთა ლიგა

უეფას რეფორმის შესაბამისად ჩემპიონთა ლიგის გათამაშების დასკვნით ეტაპზე მაწილეობას მიიღებს არა 8, როგორც უწინ იყო, არამედ, 16 გუნდი. მათგან 8 უძლიერესი განთავისუფლებულია შესარჩევი შეხვედრებისგან და გათამაშებაში შემდგომ ეტაპზე ჩაებმება.

შესარჩევი წრე

„სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „სერვეტი“ (შვეიცარია)
„სპარტა“ (პრაღა, ჩეხეთი), — „გეტებორგი“ (შვეცია)
„ავენირი“ (ლუქსემბურგი) — „გალათასარაი“ (თურქეთი)
„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „ვაც სამსუნგი“ (უნგრეთი)
„მაკაბი“ (ხაიფა, ისრაელი) — „კაზინო“ (ზალცბურგი, ავსტრია)
აეკ (ათენი, საბერძნეთი) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია)
„ლეგია“ (პოლონეთი) — „ჰაიდუკი“ (სპლიტი, ხორვატია)
„სილკებორგი“ (დანია) — „დინამო“ (კიევი, უკრაინა)

შესარჩევი წრის შეხვედრები გაიმართება 10 და 24 აგვისტოს. შესარჩევ წრეში გამარჯვებული 8 გუნდი დაემატება ადრე დადგენილ 8 უძლიერესს, შეიქმნება წინასწარი ოთხი ჯგუფი, სადაც გაიმართება თამაშები მერვედფინალის საგზურებისთვის.

„ა“ ჯგუფი. „ავენირსა“ და „გალათასარაის“ შორის გამარჯვებული, „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „სპარტასა“ და „გეტებორგს“ შორის გამარჯვებული, „ბარსელონა“ (ესპანეთი).

„ბ“ ჯგუფი. „ბაიერნი“ (გერმანია), „სილკებორსა“ და კიევის „დინამოს“ შორის გამარჯვებული, „სპარტაკი“ (მოსკოვი, რუსეთი), „პარი სენ-ჟერმენსა“ და „ვაც სამსუნგს“ შორის გამარჯვებული.

„გ“ ჯგუფი. „სტიაუასა“ და „სერვეტს“ შორის გამარჯვებული, „ლეგიასა“ და „ჰაიდუკს“ შორის გამარჯვებული, „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია), „ანდერლეხტი“ (ბელგია).

„დ“ ჯგუფი. „მილანი“ (იტალია), „მაკაბისა“ და „კაზინოს“ შორის გამარჯვებული, აეკ-სა და „გლაზგო რეინჯერსს“ შორის გამარჯვებული, „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია).

მატჩები ამ ეტაპზე გაიმართება 14 და 28 სექტემბერს, 13 ოქტომბერს, 2 და 23 ნოემბერს და 7 დეკემბერს. 14 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდებიან:

„ა“ ჯგუფი. „ბარსელონა“ — „ავენირსა“ და „გალათასარაის“ შორის გამარჯვებული, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „სპარტასა“ და „გეტებორგს“ შორის გამარჯვებული.

„ბ“ ჯგუფი. „პარი სენ-ჟერმენსა“ და „ვაც სამსუნგს“ შორის გამარჯვებული, „ბაიერნი“, „სილკებორგსა“ და კიევის „დინამოს“ შორის გამარჯვებული — მოსკოვის „სპარტაკი“.

„გ“ ჯგუფი. „ანდერლეხტი“ — „სტიაუასა“ და „სერვეტს“ შორის გამარჯვებული, „ლეგიასა“ და „ჰაიდუკს“ შორის გამარჯვებული — „ბენფიკა“.

„დ“ ჯგუფი. „აიაქსი“ — „მილანი“, „მაკაბისა“ და „კაზინოს“ შორის გამარჯვებული — აეკ-სა და „გლაზგო რეინჯერსს“ შორის გამარჯვებული.

ჯგუფური ტურნირების დამთავრების შემდეგ მეოთხედფინალში გუნდები ასეთი წესით დაწყვილდებიან: ა1 — ბ2, დ1 — გ2, ბ1 — ა2, გ1 — დ2.

შემდეგ ნახევარფინალებში, პირველი მატჩის გამარჯვებული შეხვდება მეორე მატჩის გამარჯვებულს, ხოლო მესამისა — მეოთხეს.

ფინალური მატჩი შედგება 24 მაისს.

ევროპის მფლობელთა თასი

ამაქაც გაიმართება შესარჩევი წრის თამაშები, გამარჯვებული 12 გუნდი დაემატება დანარჩენ 20-ს და ა ბრძოლა მეთექვსმეტედფინალიდან გაგრძელდება.

შესარჩევი წრე

„ნორმა“ (ტალინი, ესტონეთი) — „მარიბორი“ (ბრანიკი, სლოვენია)
„პირინი“ (ბულგარეთი) — „შაანი“ (ლიჰტენშტეინი)
„ფანდოკი“ (ბობრუისკი, ბელარუსი) — „ტირანა“ (ალბანეთი)
„ტილიგული“ (ტირასპოლი, მოლდოვა) — „ომონია“ (ნიკოზია, კვიპროსი)
„ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „დუდელანჟი“ (ლუქსემბურგი)
„ფლორიანა“ (მალტა) — „სლიგოროვერსი“ (ირლანდია)
„ბერი თაუნი“ (უელსი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი, ლიტვა)
„ბოდო გლიმტი“ (ნორვეგია) — „ოლიმპია“ (რიგა, ლატვია)
„ვიქტორია (ჟიჟკოვი, ჩეხეთი) — „ნორჩეპინგი“ (შვეცია)
„სანდურანი“ (ფარერის კ-ბი) — ჰიკ (ჰელსინკი, ფინეთი)
იფკ (კეფლავიკი, ისლანდია) — „მაკაბი“ (თელ-ავივი, ისრაელი)
„ბანგორი“ (ჩრ. ირლანდია) — „ტატრანი“ (პრეშოვი, სლოვაკეთი)

მატჩები შედგება 11 და 25 აგვისტოს

შესარჩევი წრის თამაშებიდან თავისუფალი არიან: „სამპდორია“ (იტალია), „არსენალი“ (ინგლისი), „ჩელსი“ (ინგლისი), „სარაგოსა“ (ესპანეთი), „ვერდერი“ (გერმანია), „ბრონდბიუ“ (დანია), „ოსერი“ (საფრანგეთი), „პორტუ“ (პორტუგალია), „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია), „ბრიუგე“ (ბელგია), ცსკა (რუსეთი), „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია), „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია), „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი), „კროაცია“ (ხორვატია), ლკს (პოლონეთი), „ბეშიქთაში“ (თურქეთი), „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია), „გლორია“ (რუმინეთი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა, უკრაინა).

უეფას თასი

შესარჩევ თამაშებში გამარჯვებული 27 გუნდი დაემატება დანარჩენ 37-ს და სექტემბერში გაიმართება ოცდამეთვრამეტედფინალის მატჩები.

შესარჩევი წრე

„დინამო“ (თბილისი, საქართველო) — „უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი)
„სლავია“ (პრაღა, ჩეხეთი) — „კორკ სიტი“ (ირლანდია)
„მოზერუელი“ (შოტლანდია) — „ჰაფნარი“ (ფარერის კ-ბი)
„კოპენჰაგენი“ (დანია) — „იაცი“ (ფინეთი)
„პორტადაუნი“ (ჩრ. ირლანდია) — „სლოვანი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
„ბანგორ სიტი“ (უელსი) — „აკრანესი“ (ისლანდია)
„მიუპა-47“ (ფინეთი) — „ინტერი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
„ოდენსე“ (დანია) — „ფლორა“ (ტალინი, ესტონეთი)
„ლილესტრიომი“ (ნორვეგია) — „შახტიორი“ (დონეცკი, უკრაინა)
„გოტუ“ (ფარერის კ-ბი) — „ტრელბორგსი“ (შვეცია)
„გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი) — „შემროკ როვერსი“ (ირლანდია)
„რომარი“ (მაჟეიკიანი, ლიტვა) — აიკ (სტოკჰოლმი, შვეცია)
„ჰაფნარფიორდური“ (ისლანდია) — „ლინფილდი“ (ჩრ. ირლანდია)
„სკონტო“ (რიგა, ლატვია) — „აბერდინი“ (შოტლანდია)
„ინტერი„ (კარდიფი, უელსი) — გკს (კატოვიცე, პოლონეთი)
„რუსენბორგი“ (ნორვეგია) — „გრევენმაჰერი“ (ლუქსემბურგი)
„არაუ“ (შვეიცარია) — „მურა“ (სლოვენია)
„ანორთოსისი“ (კვიპროსი) — „შუმენი“ (ბულგარეთი)
„ვარდარი“ (მაკედონია) — „ბეკეშჩაბა“ (უნგრეთი)
„ოლიმპია“ (ლუბლიანა, სლოვენია) — „ლევსკი“ (ბულგარეთი)
„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ტურანი“ (აზერბაიჯანი)
„ლა ვალეტა“ (მალტა) — „რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი)
„კიშპეშტ ჰონვედი“ (უნგრეთი) — „ზიმბრული“ (კიშინიოვი, მოლდოვა)
„არარატი“ (ერევანი, სომხეთი) — ცსკა (სოფია, ბულგარეთი)
„დინამო“ (მინსკი, ბელარუსი) — „ჰიბერნიანსი“ (მალტა)
„ტეუტა“ (ალბანეთი) — „აპოლონი“ (კვიპროსი)
„არისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) — „აპოელი“ (ბერ-შევა, ისრაელი)

მატჩები გაიმართება 9 და 23 აგვისტოს.

შესარჩევი წრის თამაშებიდან თავისუფალი არიან: „იუვენტუსი“, „პარმა“, „ინტერი“, „ლაციო“, „ნაპოლი“ (იტალია), „მარსელი“, „ბორდო“, „კანი“, „ნანტი“ (საფრანგეთი), „რეალი“, „დეპორტივო“, „ატლეტიკი“ (ესპანეთი), „დორტმუნდის „ბორუსია“, ლევერკუზენის „ბაიერი“, „აინტრახტი“, „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია), „ასტონ ვილა“, „ნიუკასლ იუნაიტედი“, „ბლეკბერნ როვერსი“ (ინგლისი), ლისაბონის „სპორტინგი“, „ბოავიშტა“, „მარიტიმუ“ (პორტუგალია), „ანტვერპენი“, „სერენი“, „შარლერუა“ (ბელგია), მოსკოვის „დინამო“, ვოლგოგრადის „როტორი“, კამიშინოს „ტექსტილშჩიკი“ (რუსეთი), „ვიტესი“, „ეინდჰოვენი“, „ტვენტე“ (ჰოლანდია), „ადმირა ვაკერი“, „ტიროლი“ (ავსტრია), „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი), „სიონი“ (შვეიცარია), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი), „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი).

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გრაფი, ევერტის გადმოსახედიდან

კრის ევერტისა და შტეფი გრაფის სახელები ჩოგბურთის მოყვარულთათვის დამატებით რეკომენდაციებს არ საჭიროებენ. ყველაფერი ისედაც ცხადია: ამერიკელი ევერტი განუყოფელი ბატონ-პატრონი იყო 70-იანი წლების მსოფლიო ჩოგბურთისა, გერმანელი სპორტსმენი კი დღევანდელი პირველი ჩოგანია და წინამორბედი ამერიკელის (მარტინა ნავრატილოვასთან ერთად) ღირსეული მემკვიდრე.

ამერიკულმა ჟურნალმა „უორლდ ტენისმა“ დაბეჭდა საინტერესო წერილი მის თაობაზე, თუ როგორ ჰყავდა წაროდგენილი, როგორ ხედავდა გამოცდილი ევერტი ახალგაზრდა გრაფს, რომელიც ჯიუტად მიიწევდა წინ მსოფლიოს ჩოგბურთის ოლიმპისკენ.

— გრაფს პირველად შევხვდი 1985 წელს ფლორიდაში გამართულ ტურნირზე. მანამდე არასდროს მენახა იგი კორტზე და, გულახდილად რომ ვთქვა, ხელრიალად არც ვიცოდი ვინ იყო. მე მოვიგე ეს მეოთხედფინალური შეხვედრა ანგარიშით 6:4 და 6:2, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ ძალზე ამაჭირდა, განსაკუთრებით პირველ პარტიაში, რომელსაც თითქმის უიმედოდ კარგავდი — 1:4.

— ყველაზე უფრო მეტად გამაოცა კოგონას დამოკიდებულებამ ჩოგბურთისადმი. ეს დამოკიდებულება იყო ალალი, დაჯერებული და უაღრესად სერიოზული. მას ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ კორტზე ყველაფრის გაკეთება შეეძლო. სწორედ ამის გამო დამარცხებაზე არც კი ფიქრობდა.

— ამ მარცხის შემდეგ შტეფიმ, უფრო ჭეტად კი მამამისმა, ჩამიკრა, რომ ჩემი წარმატება ორგანიზებული იყო მსაჯების მიერ, ვინაიდან ფლორიდიდან ვარ. ეს, ცხადია, შეცდომა გახლდათ, ბოლმით გაკეთებული დასკვნა. შტეფის ამერიკაში ადრე არ უთამაშია და ამიტომ არ იცოდა, რომ აქაურ მსაჯებს სასტიკად არ უყვართ თანამემამულე ჩოგბურთელები და მათი დახმარების მიზნით უკანონობას კი არა, კანონიერს არაფერს ჩაიდენენ. მაგრამ ამის მიუხედავადაც, გრაფის სიბრაზეში მე ჩემპიონის ხასიათი დავინახე.

— რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო ვაკვირდებოდი ახალგაზრდა გერმანელ გოგონას და ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენ, მე და შტეფის, ბევრი რამ გვქონდა საერთო. ჯერ ერთი, ჩვენ ორთავეს კანონიერი სურვილი აღმოგვაჩნდა მსოფლიოში საუკეთესონი ვყოფილიყავით. ყოველი მარცხი ჩვენთვის ენით გამოუთქმელი ტრაგედია იყო. მთავარი კი გახლდათ ის, რომ ჩვენ, ორთავენი, თავს „საქმიანი“, რაციონალური ჩოგბურთის მიმდევრებად ვთვლიდით.

— ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ევერტი და გრაფი ტყუპისცალებივით ჰგავანან ერთმანეთს კიდევ ერთ რამეში: როგორც ჩოგბურთელები ჩვენ, ჩვენმა მამებმა „შეგვქმნეს“. ისინი გვავარჯიშებდნენ, გვიყალიბებდნენ ხასიათს, გვასწავლიდნენ ცხოვრებას და ადამიანებთან ურთიერთობას. არ ვიცი, ჰგონია თუ არა შტეფის დღეს, რომ იგი მხოლოდ მამისთვის თამაშობს. მე კი, ჩემს ახალგაზრდობაში, ბევრჯერ მიფიქრია ამაზე და მინდოდა, რომ ჩემი თამაში, პირველ რიგში, მამაჩემს მოსწონებოდა. რაც უნდა იყოს, ყოველდღე კორტზე გამარჯვების რწმენით გამოსვლა ძნელი საქმეა. აი, სწორედ ამ დროს მეხმარებოდა მამის მკაცრი და მომთხოვნი გამოხედვა.

— დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მშობლები ჩვენს ფინანსურ სფეროს განაგებდნენ. მე ოცდაზუთ წლამდე არ ვიცოდი რა შემოსავალი მქონდა. არაფერი გამეგებოდა არც რეკლამისა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მამები გვიცავდნენ ჩვენ ყველაფერი მავნესა და გადამდებისაგან. განსაკუთრებული სიფრთხილე ყოფილა საჭირო საიმისოდ, რომ არ ავყოლოდით ჭორებს; მითქმა-მოთქმას, ათასგვარ ცილისწამებასა და ბრალდებებს. მამაჩემს, ამ მხრივ, უმკაცრეს იზოლაციაში ვყავდი. მახსოვს როგორ აკრიტიკებდნენ პეტერ გრაფს ასეთივე საქციელისთვის.

— მინდა აღვნიშნო ისიც, რომ შტეფის ბედნიერი ვარსკვლავი ამობრწყინდა გფრ-ის ჩოგბურთისათვის მეტად ხელსაყრელ და საჭირო დროს. ჩემმა და ჯიმი კონორსის წარმატებებმა განსაზღვრეს ამერიკული ჩოგბურთის უჩვეულო ბუმი. დაახლოებით იგივე მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიისთვის შტეფი გრაფისა და ბორის ბეკერის „თანაარსებობას“.

— საჩოგბურთო ოლიმპისაკენ მიმავალი გზა შტეფიმ გასაოცრად იოლად განვლო, ვინაიდან ახალგაზრდობის გამო ბოლომდე ვერ გრძნობდა ლიდერის მძიმე ხვედრს. დაახლოებით იგივე დაემართა მოგვიანებით მონიკა სელეს...

— პირადად მე, მაგალითად, არა მგონია, რომ შტეფი გრაფის ოსტატობამ ზენიტს მიაღწია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობა მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერს ფეხდაფეხ მისდევს. ჩემი აზრით, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, სანამდე აპირებს შტეფი თამაშს. ახლა მას ასაკი აქვს ისეთი, რომ შეიძლება გათხოვდეს, შვილები შეეძინოს, ოჯახს მოჰკიდოს ხელი და მაშინ... თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ჩოგბურთს თავი არ დაანებოს 30, 35, 40 წლამდე. ერთხელ, შტეფიმ სხვათა შორის მითხრა: „სულაც არ მინდა მთელი ცხოვრების მანძილზე ჩოგბურთი ვითამაშო. დასვენებაც ხომ საჭიროა, თვალის გახელა, ხალხის დანახვა?

— გრაფის თამაშში ძნელია რაიმე დეფექტის, წუნის აღმოჩენა. ჯონ მაკინროუ თავის თავზე ამბობდა, რომ მისი სიძლიერე, სისუსტის უქონლობა იყო. იგივე შეიძლება ითქვას გრაფზეც. მარცხენა მხრიდან მისი დარტყმები არ არის იდეალური, მაგრამ სისუსტესაც ვერ უწოდებ. მარჯვენა კი... ქალთა ჩოგბურთში ასეთი ძლიერი დარტყმა არასოდეს ჰქონია ვინმეს.

— ვიმეორებ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ვინაიდან ცოცხალი ინდივიდუმები ვართ, ჩვენი ხასიათით, ნერვებითა და შეხედულებებით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ გრაფის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მონაცემებს, მის სისწრაფეს, რეაქციას, ჩოგბურთისადმი სიყვარულს, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი კიდევ დიდხანს დარჩება ჩოგბურთში და იქნება უძლეველი!

სურათზე: ჩოგბურთის ორი ვარსკვლავი — შტეფი გრაფი და ბორის ბეკერი.

თემურ გიგინეიშვილი

ვერის უბანს კიდევ ერთი კაცური კაცი გამოაკლდა — თემურ გიგინეიშვილი, ნაცნობ-მეგობრები „პეშკად“ რომ იცნობდნენ. ალალ-მართალი, გულისხმიერი, მეგობრობაში ნაღდი და გამტანი, მშობლიური უბნისა კი არა, მართლაც ყველა ჩვენთაგანის ახლობელი და თანამოზიარე იყო — გულწრფელად უხაროდა შენი სიხარული, გულთან მიჰქონდა მეგობართა ჭირ-ვარამი. მეგობრები კი მართლაც ულევი ჰყავდა, სპორტული სამყაროდან იქნებოდა ეს თუ მედიცინის დარგიდან.

თუ ოდესმე ქართული ჰოკეის ისტორია დაიწერება, უპირველესი სიტყვა მასზე ითქმება, როგორც შაიბის ერთ-ერთ პირველ მერცხალზე. ქართველ ჰოკეისტთა გუნდის შესანშნავ ფორვარდს საათობით შეეძლო საუბარი საყვარელ თამაშზე, თავადაც დღენიადაგ ზრუნავდა მასზე — ზამთრობით ბაკურიანში გულმოდგინედ ავარჯიშებდა ჰოკიჯოხად ყმაწვილებს, თავად მსაჯობდა მატჩებს, ღამით კი მეგობრებთან ერთად დილისთვის დაუღალავად ამზადებდა ყინულს. ვერაზე ყველამ ვიცოდით ბელინსკის ქუჩის დასწყისში ფანატიკოსი ჰოკეისტი რომ ცხოვრობდა, სახლში ჰოკეის პატარა მუზეუმიც (პირველი და ერთადერთი საქართველოში) ჰქონდა მოწყობილი, თვითონვე იყო რესპუბლიკაში ჰოკეის პირველი წიგნის ავტორი და გამომცემელი.

თემურს სერიოზული სიყვარულიც ჰქონდა — ფარმაკოლოგია. იგი ამ დარგშიც სპეციალისტი გახლდათ, საქართველოს სპორტკომიტეტის ფარმაკოლოგადაც მუშაობდა.

ვეღარ შევხვდებით ვერაზე ნახევარსუკუნეს გადაცილებულ, ჩვენს საყვარელ „პეშ ის“, ვეღარ დავთვალიერებთ ჰოკეის უნიკალურ საოჯახო მუზეუმს, აღარ შევაწუხებთ საჭირო წამლისთვის.

იგი მართლაც ძალიან დაკლდა ვერის უბანს.

მეგობრები

რა ხდება ქვეყანაზე

● მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა, 37 წლის მარტინა ნავრატილოვამ, რომელიც საქვეყნოდ ცნობილია ქალებისადმი არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვით, გადაწყვიტა იყოლიოს შვილი. ამ მიზნით მან მიმართა ხელოვნური ჩასახვის მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტს, იტალიელ სევერინო ანტინორის. როგორც ლონდონის „დეილი მირორი“ იუწყება, მ. ნავრატილოვა მისი 62-ე პაციენტი იქნება. თვითონ ჩოგბურთელი არ მალავს, რომ არსურს ურთიერთობა მამაკაცებთან, არადა, შვილი უნდა!

● როგორც ცნობილია, ამერიკელ ფეხბურთელსა და კინოვარსკვლავს ო.ჯ. სიმპსონს ბრალად ედება ყოფილი მეუღლის ნიკოლისა და მისი მეგობარი მამაკაცის რონალდ გოლდმანის მკვლელობა. ეჭვმიტანილი კარგახანია პატიმრობაშია აყვანილი და ელოდება ძიების დამთავრებას, მაგრამ არავის სჯერა, რომ იგი მართლაც დამნაშავეა. ამას წინათ სიმპსონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ნახევარ მილიონ დოლარს გადაუხდის იმას, ვინც ძიებას მისთვის სასარგებლო ინფორმაციას წარუდგენს. ადვოკატი რობერტ შაპირო დარწმუნებულია, რომ ეჭვმიტანილს უსათუოდ გაამართლებს.

● კრივის ცნობილ მენეჯერს, მრავალი მსოფლიო ჩემპიონის აღმზრდელს დონ კინგს ბრალად ედება სადაზღვევო მაქინაციებში მონაწილეობა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მკაცრად ისჯება. გაზეთებმა აქტიურად წამოიწყეს დამნაშავის დისკრედიტაცია. კერძოდ, გაიხსენეს, რომ 1954 წელს თავდაცვის მიზნით მან მოკლა ბანდიტი, 13 წლის შემდეგ კი კიდევ ერთი მკვლელობის მონაწილე გახდა და პატიმრობაშიც იყო აყვანილი, ამავე დროს კონფლიქტი ჰქონდა ფინანსური უნყების ხელმძღვანელთან, რომელსაც ასევე სიკვდილით ემუქრებოდა...

● რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი პროგრესული აზროვნებისა და რიგი რეფორმებისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

ისევ ნჰლ-ს პრიზიორებზე

„ლელოს“ მკითხველებმა იციან ნჰლ-ს წლევანდელი ჩემპიონატის შედეგები. ჩვენ მათ, აგრეთვე, გავაცანით ძირითადი პრიზები, რომლებიც მიიღეს განსაკუთრებით გამორჩეულმა ჰოკეისტებმა. დღეს კიდევ რამდენიმე ჯილდოს შესახებ, რომლებზეც ადრე არაფერი გვითქვამს.

„ლედი ბინგ მემორიალ ტროფი“ (პრიზი მოედანზე ჯენტლმენური საქციელისათვის) მეოთხედ მიიღო „ლოს-ანჯელესის“ მოთამაშემ უეინ გრეცკიმ.

„არტ როს ტროფი“ (პრიზი, რომელიც გადაეცემა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს) ეს პრიზიც უეინ გრეცკის ერგო.

„ბილ მასტერტონ მემორიალ ტროფი“ (ყველაზე კორექტული მოთამაშისთვის განკუთვნილი ჯილდო) დაიმსახურა „ბოსტონის“ წარმომადგენელმა კემ ნილმა.

„ემერი ეჯ ავარდი“ (პრიზი, რომელიც გადაეცემა ჰოკეისტს სისტემა „პლიუს-მინუსის“ მიხედვით საუკეთესო მაჩვენებლისათვის) ჯილდო გადაეცა „ნიუ-ჯერსის“ მცველს სკოტ სტივენსს.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი.

მსოფლიოდ ტექნიკური შედეგები

კალათბურთი. ევროპის პირველობა 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის. სოფია. ფინალური მატჩები: იტალია — ესპანეთი 74:68 (38:41), უნგრეთი — რუსეთი 63:56 (27:18). ადგილები: 1. იტალია, 2. ესპანეთი, 3. უნგრეთი, 4. რუსეთი.

მშვილდოსნობა. ევროპის თასი 16-17 წლის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. კომპიენი (საფრანგეთი). 1. ადგილი, როგორც ჭაბუკთა ისე გოგონათა ორის, მოიპოვა რუსეთის ნაკრებმა.

სპიდვეი. იუნიორთა მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალი. გულა (უნგრეთი). 1-2. ჯეისონ კრამპი (ავსტრია) ა პეტერ ბაროონი (პოლონეთი) — 13-13 ქულა, 3. გეეგოშ რემპალუ (პოლონეთი) — 11 ქულა.

მძლეოსნობა. ევროპის ახალგაზრდული პირველობა. ლისაბონი. სამხტომი. ქალები. 1. ადგილი. ელენე ლისკო (რუსეთი) — 14,43 მ. ეს შედეგი იუნიორთა მსოფლიოს რეკორდია.

ავტომობილიზმი. „ფორმულა-1“. გერმანიის „გრან-პრი“ (ჰოკენჰაიმი). 45 წრე. 307,032 კმ. 1. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია) — 1: 22.37,272. საერთო ჩათვლა: 1. მიჰაელ შუმახერი (გერმანია) — 66 ქულა. 2. დეიმონდ ჰილი — (ინგლისი) — 39, 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია) — 27.

ჩოგბურთი. ტორონტო (კანადა). საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 1,72 მილიონი დოლარი). ფინალი. ანდრე აგასი (აშშ) — ჯეიხონ სტოლტენბერგი (ავსტრია). 6:4, 6:4.

სტრეტონ-მაუნტინი (კანადა). საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 400 ათასი დოლარი). ფინალი. კონჩიტა მარტინესი — არანტა სანჩეს-ვიკარიო (ორივე — ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:4.



ბ. პაიჭაძის სახელობის ერეკვნული სტადიონი
(ა. წერეთლის გამზირი №2)

9 აგვისტო
ფეხბურთი
უეფას თასის გათამაშება

„დინამო“ (თბილისი, საქართველო) —
„უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი)

დასაწყისი 20 საათზე.

ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში 4 აგვისტოდან.
ყველა ადრინდელი საშვი გაუქმებულია.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“